

წითელას ვაქცინაციის ეფექტურობის შეფასება და საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოში

ცირა ლაშხია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ირმა კირთაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ცირა ლაშხია, 19.06.25

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ცოდნის დონის, დამოკიდებულებებისა და ნდობის ხარისხის შეფასებას წითელას ვაქცინაციის მიმართ, ასევე იმ ძირითადი ბარიერებისა და ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც გავლენას ახდენს ვაქცინაციასა და მოსახლეობის მონაწილეობაზე იმუნიზაციის პროცესში. ნაშრომში წარმოდგენილია მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს იმუნიზაციის პროგრამების შედეგების გაუმჯობესებას და წითელას კონტროლის გაძლიერებას საქართველოში.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდოლოგიით. მონაცემები შეგროვდა სტრუქტურირებული, დახურული ტიპის კითხვარის საშუალებით, რომელიც გავრცელდა Google Forms-ის პლატფორმაზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 391-მა რესპონდენტმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ქვეყნის სხვადასხვა დემოგრაფიულ და სოციალურ ჯგუფებს. კითხვარი მოიცავდა დემოგრაფიულ მახასიათებლებს, ვაქცინაციის სტატუსსა და დროულობას, ინფორმაციის წყაროებს, სამედიცინო პერსონალისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის დონეს, ვაქცინაციისადმი ზოგად დამოკიდებულებებს და ვაქცინაციაზე უარის თქმის შესაძლო მიზეზებს. მონაცემები გაანალიზდა აღწერითი სტატისტიკური მეთოდებით Microsoft Excel-ის გამოყენებით, რათა გამოვლენილიყო ტენდენციები, გადანაწილებები და ასოციაციები სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

შედეგებმა აჩვენა, რომ ვაქცინაციის სტატუსი მჭიდრო კავშირშია ინფორმაციის წყაროებთან, სამედიცინო პერსონალის მიმართ ნდობის დონესთან და დემოგრაფიულ ფაქტორებთან. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რესპონდენტი გამოხატავდა ნდობას სამედიცინო პერსონალის მიმართ, ცოდნისა და კომუნიკაციის ხარვეზები გამოიკვეთა ვაქცინაციის დაბალი მოცვის ხელშემწყობ ფაქტორებად. ნაშრომი ხაზს უსვამს კომუნიკაციის სტრატეგიების გაძლიერების, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და

სამედიცინო პერსონალის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას ვაქცინაციის მოცვის გასაზრდელად და წითელას ელიმინაციის პროცესის მხარდასაჭერად საქართველოში.

საძიებო სიტყვები: წითელა, ვაქცინაცია, საზოგადოების დამოკიდებულება, ცოდნა, ნდობა, იმუნიზაციის პროგრამა

Abstract

This thesis focuses on evaluating the level of knowledge, attitudes, and trust of the Georgian population toward measles vaccination, as well as identifying the key barriers and factors influencing vaccination and participation in the immunization process. The study provides evidence-based recommendations to improve immunization program outcomes and strengthen measles control in Georgia.

The research employed a quantitative methodology. Data were collected through a structured, closed-ended questionnaire distributed via Google Forms, with 391 respondents participating from various demographic and social groups. The questionnaire covered demographic characteristics, vaccination status and timing, sources of information, levels of trust in medical professionals and public institutions, and general attitudes toward measles vaccination, including potential reasons for vaccine refusal. Descriptive statistical analysis was conducted using Microsoft Excel to identify trends, distributions, and associations across different groups.

The findings indicate that vaccination status is significantly associated with sources of information, levels of trust in healthcare providers, and demographic factors. Although many respondents expressed trust in medical professionals, gaps in knowledge and communication emerged as contributing factors to lower vaccination coverage. The thesis underscores the importance of enhancing communication strategies, raising public awareness, and promoting the active engagement of medical personnel to increase vaccination uptake and support the elimination of measles in Georgia.

Keywords: measles, vaccination, public attitudes, knowledge, trust, immunization program, Georgia.